შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"

№ 118

"24" 12 "2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" მიერ მესამე პირთათვის საკანალზიაციო მილებზე დაერთების ნებართვის სანაცვლოდ გადასახდელი კომპენსაციის ოდენობის დაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ

1. შპს "საბის" 22.12.2014 წ. დასკვნის საფუძველზე, დამტკიცდეს შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" საკუთრებაში არსებული საკანალიზაციო მილებზე მესამე პირთათვის დაერთების ნებართვის სანაცვლოდ გადასახდელი კომპენსაციის ოდენობის დაანგარიშების წესი.
2. კომპენსაციის საფასური დამოკიდებულია მესამე პირის მიერ გამოყენებადი საკანალიზაციო მილების სიგრძესა და მის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში თვეში საშუალოდ მოსახმარებელი წყლის პროგნოზირებულ რაოდენობაზე. საფასურის გაანგარიშება მოხდეს აღნიშნულ ორ პარამატრზე დაყრდნობით, შემდეგი წესით:

P = v * A + (m / M) * (B / T), *(**შენიშვნა:** საფასური იანგარიშება იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ-ერთი პარამეტრი ნულის ტოლია)* სადაც:

- P - არის დაერთებული მესამე პირის მიერ ყოველთვიურად გადასახდელი თანხა ლარში, დღგ-ს ჩათვლით;
- v - არის დაერთებული მესამე პირის მიერ ერთ თვეში მოსახმარებელი წყლის პროგნოზირებული საშუალო რაოდენობა, იზომება კუბურ მეტრებში და მიიღება შემდეგნაირად:
  - იმ პირთათვის, რომელთაც გააჩნიათ წარსული ინფორმაცია - გასული წლის განმავლობაში მინიმუმ 3 (სამი) თვე - ფაქტობრივად მოხმარებული წყლის რაოდენობის შესახებ, V აიღება გასული წლის მონაცემების გასაშუალოების გზით. კერძოდ, V იანგარიშება, როგორც საანგარიშო წლის წინა წელს საშუალოდ ერთ თვეში ფაქტობრივად მოხმარებული წყლის რაოდენობა.
    - ასე აღებული V-თი შედგენილი კომპენსაციის საფასურის ხელახალი გაანგარიშება ხდება არაუადრეს კომპენსაციის საფასურის დაწესების წლის მომდევნო წლისათვის და ხელახალი გაანგარიშება შეეხება მხოლოდ სამომავლოდ დასაწესებელ საფასურს.

- იმ პირთათვის, რომელთაც არ გააჩნიათ 3 თვეზე მეტი ისტორია ფაქტობრივად მოხმარებული წყ ის რაოდენობის შესახებ გასულ წელს, V იანგარიშება შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" სათანადო ტექნიკური პერსონალის შეფასებით, დასაერთებელი ობიექტის სპეციფიკისა და სავარაუდო სამომავლო წყლის ხარჯის შესახებ თავად დაერთების მსურველის მიერ გაცხადებული ინფორმაციის ურთიერთშეჯერებით.
  - ➢ ასე აღებული V-თი შედგენილი კომპენსაციის საფასურის ხელახალი გაანგარიშება მოხდება სამი თვის შემდეგ, ფაქტობრივი შედეგების მიხედვით, სამი თვის საშუალო მოხმარების სიდიდეზე დაყრდნობით და ახალი, გადაანგარიშებული საფასური არ შეეხება გასულ 3 თვეს და შეეხება მხოლოდ სამომავლო ფასს.

- **A** - არის აუდიტის მიერ განსაზღვრული ერთი თვის ფიქსირებული ტარიფი, რომელიც უდრის 0,80 ლარს დღგ-ს გარეშე.
- **m** - არის საკანალიზაციო მილების სიგრძე მესამე პირის დაერთების ადგილიდან მილის ბოლომდე ანუ ადგილამდე, სადაც იგი უერთდება სხვის კუთვნილებაში არსებულ მილს ან/და კოლექტორს) და იზომება მეტრებში (ამუ მილის მონაკვეთი, რომელსაც მესამე პირი რეალურად იყენებს);
- **M** - არის შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" საკუთრებაში არსებული საკანალიზაციო მილების მთლიანი სიგრძე და იზომება მეტრებში.
- **B** - არის შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" საკუთრებაში არსებული საკანალზიაციო მილების საბალანსო ღირებულება ლარში.
- **T** - არის შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" საკუთრებაში არსებული მილების დარჩენილი საექსპლუატაციო ვადა.

შპს „საბის" 22.12.2014 წ. დასკვნა ერთვის ამ ბრძანებას და ბრძანებას და დასკვნას გააჩნია ურთიერთშემავსებელი ხასიათი.

4. თუ პირს დაერთებული აქვს ერთზე მეტი ობიექტი, მაშინ კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას m გაითვალისწინება აღნიშნულ ობიექტებს შორის მაქსიმუმი სიდიდით (აიღება ობიექტების საკანალიზაციო მილების სიგრძეებიდან მაქსიმუმი), ხოლო v განისაზღვრება, როგორც თითოეული ობიექტის მიერ მოსახმარებელი წყლის საშუალო მოცულობის ჯამი.
5. იმ მესამე პირებისთვის, რომელთაც წინამდებარე ბრძანებით დააგარიშებული საფასური გამოსდით 15 ლარზე ნაკლები დღგ-ს გარეშე, განესაზღვროთ პირობითი მოჭრილი საფასური 15 ლარის ოდენობით დღგ-ს გარეშე.
6. წინამდებარე ბრძანებით საფასურის დათვლა მოხდება იმ მესამე პირთათვის, რომელთაც ამ ბრძანების ამოქმედების დროისათვის კომპენსაციის ოდენობა უკვე არ აქვთ განსაზღვრული დირექტორის 2014 წლის 27 ოქტომბრის №94 ბრძანების შესაბამისად.

7. ამ ბრძანების ამოქმედების დროისთვის უკვე არსებულ, დაერთებულ პირებთან, რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება 2015 წლის პერიოდზე და შეთანხმებულია ფასი ხელშეკრულებით, 2015 წლის ბოლომდე ურთიერთობა გაგრძელდეს არსებული ხელშეკრულებით.
8. ამ ბრძანების წინა პუნქტში მითითებული პირებთან ხელშეკრულებების მოქმედების დასრულების შემდეგ, 2016 წლიდან, კომპენსაციის საფასურის დაანგარიშება მოხდება წინამდებარე ბრძანებით, თუ მანამდე სხვა რეგულაცია არ იქნება მიღებული. თუ ბრძანების შესაბამისი დაანგარიშებით გადასახდელი კომპენსაცია გამოვა იმაზე მეტი, ვიდრე ეს იყო 2015 წელს, შესაძლებელია, რომ ასეთ პირებს კომპენსაციის საფასური დარჩეთ იგივე, რაც 2015 წელს. ასეთ შემთხვევაში, სხვაობის დასაკომპენსირებლად უნდა დაწესდეს ბრძანებით დაანგარიშებულ საფასურებზე დამატებითი, ერთნაირი პრინციპით გამოყვანილი მარჟა ყველა დაერთებული პირისთვის და მარჟის მეშვეობით მიღებული თანხების ხარჯზე მოხდეს ძველი ფასების დატოვების შედეგად მიღებული სხვაობის თანხების მიღება.
9. წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული მეთოდოლოგიის მიხედვით საკანალიზაციო მილებით თითეული დაერთებული პირისთვის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრის მიზნით დაევალოს ტექნიკურ კოორდინატორს ფინანსური სამსახურისთვის ტექნიკური ინფორმაციის მიწოდება საფასურის გაანგარიშების მიზნით.
10. დაევალოს საქმის წარმოების სამსახურს, საფინანსო, სახელშეკრულებო და იურიდიული სამსახურებისათვის და ბუღალტერიისათვის ბრძანების გაცნობა.
11. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
12. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორის მოადგილე ფინანსურ დარგში **პაატა ჩიქოვანი**